

**Shorena Shamanadze**

**შორენა შამანაძე**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **Reflection on Russian-Georgian Relations in the Context of the New 'Weltliteratur'**

### **რუსულ-ქართული ურთიერთობების გააზრება ახალი Weltliteratur-ის კონტექსტში**

The best resources for understanding current postmodern reflections, defining individual cultural-aesthetic and intellectual traits, and observing the process of creating a new Georgian identity in a global or post-Soviet environment are Georgian intercultural-migration texts, or texts written in or on the topic of migration.

This is the reason why we have chosen "Moscow-Tbilisi" by Nodar Macharashvili. the author of the new 'Weltliteratur'.

This work, which was written overseas, captures the contemporary Georgian author's reactions to common historical traumas, the world's issues facing the younger generation, their quest for a true identity, and, in the process, a profound sense of powerlessness in a vast and frequently uncaring world.

**Keywords:** world literature, intercultural, migration, identity, imagology

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლიო ლიტერატურა, ინტერკულტურული, მიგრაცია, იდენტობა, იმაგოლოგია

თეორიულ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული ტექსტები საუკეთესო მასალაა გლობალურ/პოსტსაბჭოთა გარემოში ახალი ქართული იდენტობის ფორმირების პროცესზე დასაკვირვებლად, ამ პროცესის ცალკეულ კულტურულ-ესთეტიკურ და ინტელექტუალურ თავისებურებათა განსასაზღვრად თუ მიმდინარე პოსტმოდერნულ რეფლექსი-ათა მოსახელთებლად.

პოსტსაბჭოთა ქართულ სივრცეში ძალიან ცოტაა როგორც ტექსტები, ისე სამეცნიერო კვლევები, სადაც მოცემული იქნებოდა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა რეფლექსია. განსხვავებით საბჭოთა პერიოდისგან, ჩვენ თითქმის აღარ ვიცნობთ რუსეთს, არ ვიცით, რა ხდება რუსულ ლიტერატურაში, არ გვაქვს კავშირი იქაურ ინტელიგენციასთან. ამას აქვს თავისი ახსნა:

საქართველოში რუსული დომინაციის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია დასრულდა XX საუკუნის ბოლოს – საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით 1991 წლის 9 აპრილს და საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლით 1991 წლის 26 დეკემბერს.

ერთიანი საბჭოთა სივრციდან საქართველოს დეზინტეგრაცია არ მომხდარა სახელმწიფოებრივი ზარალის გარეშე. აფხაზეთის 1992/1993 წლების 13-თვიანი ომი, სამაჩაბლოს კონფლიქტი და

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი. ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ლტოლვილთა დიდი რაოდენობის გაჩენა – ეს ის პრობლემებია, რომლებმაც თავი იჩინა მაშინვე, როგორც კი საქართველომ დაიწყო გამოყოფა ერთიანი საბჭოთა სისტემიდან. ევროპა კი, რომლის მედიატორობაზეც ქართულ პოლიტიკურ დისკურსში იმედებს ამყარებდნენ, მოქმედებდა, დ. ჩაკრაბარტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როგორც ისტორიული ცოდნის მდუმარე რეფერენტი“ (Chacrabarty, 2000, გვ. 28).

თუმცა, რაც არ უნდა უცნაური იყოს, გარკვეული სუბსოციუმისთვის აგვისტოს ომის შემდგომ გაცოცხლა რუსეთის პოზიტიური სტერეოტიპი. შესაძლოა, ეს განპირობებული იყო დაცულობის განცდის ნოსტალგიით; მსგავსი სტერეოტიპები გაცოცხლდა სწორედ მათთვის, ვისაც, როგორც ჩანს, შემონახული ჰქონდა მეხსიერებაში საბჭოური იდეოლოგიზირებული სოციალური და კულტურული სტერეოტიპები (წიფურია, 2016, გვ. 258).

ზოგადად, ადგილზე შექმნილ ქართულ მწერლობაში, 2008 წლის შემდეგ დაიწყო და რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ უალტერნატივო გახდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეინსტრიმული დისკურსი, რომელშიც გაცოცხლდა კოლონიური ხანის მინავლებული ნეგატიური სტერეოტიპები: უნიტაზიპარია რუსები, რომელთაც აქვთ ყველაფრის მითვისების, ერების ასიმილირების, ტერიტორიების მითვისების, ხელოვნური სტაგნაციის სურვილი.

მაგრამ აქვე შეინიშნება კიდევ ერთი ტენდენცია: შიდა ავტორები ვერ ბედავენ ამ მეინსტრიმული ხაზის დარღვევას, პრობლემებზე უფრო სიღრმისეულ მსჯელობას.

გავიხსენოთ სერგეი ავერინცევი, რომელიც გილბერტ კით ჩესტერტონის მთავარ სიქველედ თვლიდა მის უნარს, წასულიყო გაბატონებული აზრის წინააღმდეგ და ელადა ანბანური ჭეშმარიტებანი, ამით დაპირისპირებოდა უგუნურებამდე მისულ ცალმხრივობას:

„...რაც შეეხება უკვე მოყირჭებულ მორალურ ჭეშმარიტებებს, ჩესტერტონი მათ აღიქვამს ყველაზე მოულოდნელ რამედ, რაც კი არსებობს ამ სამყაროში: უგუნურების გადმა ნაპირზე არსებულ საიმედო ნავმისადგომად ... თუკი მხედველობაში მივიღებთ მწერლის ადრეულ გამოცდილებას, ეს ფაქტი გასაგები გახდება ჩვენთვის. ახალგაზრდების არტისტულ წრეში პარადოქსი ითვლებოდა ნორმად, ანბანურ ჭეშმარიტებებზე კი ტაბუ იყო დადებული; ამიტომაც იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ პარადოქსების ჩვევა ჩესტერტონმა ბოლომდე ვერ მოიშალა, იგი მაინც ყოველთვის ხვდებოდა, რომ ნამდვილი გამბედაობა მას სჭირდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ანბანური ჭეშმარიტებანი ელადა. ამდენად, მისი კეთილგონიერება იყო არა მოცემულობა, არამედ არჩევანი და საკმაოდ დრამატულიც, როგორც ეს შემვენის ნებისმიერ ჭეშმარიტ არჩევანს“ (ავერინცევი, 2006).

სწორედ ამ ნიშნით გამოვარჩიეთ ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის ავტორი ნოდარ მაჭარაშვილი.

ამ პრობლემებზე მსჯელობისას ვიყენებთ ჩვენ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას – „სოციოლიტერატურათმცოდნეობა“, რომელიც ითვალისწინებს სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კონცეპტებს, პოსტკოლონიურ თეორიას, ლიტერატურათმცოდნეობით მეთოდებს და, რაც მთავარია, იმაგოლოგიას – თანამედროვე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის მიერ „იქიდან“ აღქმულ პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობას. პოსტკოლონიალიზმის ძირითადი ცნებებიდან მივმართავთ კონცეპტებს: მიმიკრია, ჰიბრიდულობა, სუბალტერნი, ბინარული ოპოზიციები „ჩემი“ და „სხვა“, კოლონიზატორი-კოლონიზებული, ცენტრი (მეტროპოლია) – პერიფერია, მესამე სივრცე. სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევის გაცნობამ საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით, თუ როგორ წარმოჩინდა კულტურული ტრავმა „ჩემისა“ და „სხვის“ კონფლიქტად, ხოლო ნაციონალურ ცნობიერებაში არსებული ბრძოლა საბჭოურ პარადიგმებთან უფრო აშკარა გახდა.

ნოდარ მაჭარაშვილი უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მწერალია. „მოსკოვი-თბილისი“ ამ გვარ-სახელით გამოქვეყნებული მეორე რომანია. 2018 წლამდე წერდა ფსევდო-

ნიმით „თორნიკე გურჯინთახი“. სხვადასხვა მიზეზთა გამო სულ სამშობლოს გარეთ უწევდა ცხოვრება. „და მწერლობა რომ მისი ბედისწერა არ იყოს, ამ სრულიად ახალგაზრდა კაცს დამშვიდებული ცხოვრება ზედიზედ რამდენიმე თვეც არ მოსწევია. სულ შფოთშია, ხიფათსა და ხიფათს შუა გამოკიდებული და ის მაინც წერს, შესანიშნავ რომანს რომანზე ალაგებს იმიტომ, რომ მისი ნამდვილი ბუნებაცა და მოწოდებაც სწორედ ეს არის: წერა ბედისწერის საპირწონედ. მისთვის სწორედ მის ნაწერში უზავდება ერთმანეთს სინამდვილეცა და სასურველ სინამდვილეზე გამჭრალი ოცნებებიც. აქ ხვდებიან ერთუროს ისინი და გარდაიქმნებიან კაცისათვის ყველაზე საიმედო თავშესაფრად, ლიტერატურად, სადაც ყველანი შეიძლება იმაზე ოდნავ მაინც უკეთესები, უფრო კეთილშობილები ვჩანდეთ, ვიდრე ცხოვრებაში“ (ლობჯანიძე 2020).

ნაციონალური თვითიდენტობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი შეტყობინებების შემცველი ეს ტექსტი ასახავს თანამედროვე ქართველი ავტორის რეცეფციებს რეგულარულ ისტორიულ ტრავმაზე.

ამ ნაწარმოებში ვერ ნახავთ 2008 წლის აგვისტოს ომის ბატალურ სცენებს, დრამატულ და სისხლიან ამბებს, ისტორიული რარიტეტების ქრონიკებს, ვერაფერს, რასაც მკითხველი მოელის ომგამოვლილი მწერლისაგან, მაგრამ ამ ნარატივში შემზარავი სიმართლით გამჟღავნდა „დაბომბილი ქვეყნის“ მოაზროვნე ახალთაობის ტრაგედია, მისი გლობალური პრობლემები, საკუთარი, ავთენტური იდენტობის ძიების პროცესი და უმწეობის მძაფრი განცდა უზარმაზარი, ხშირად კი, „სხვისი ჭირისადმი“ სრულიად განურჩეველ, ინდიფერენტულ მსოფლიოში.

ნაწარმოების მთავარი გმირია სანდრო, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, კაცი დაჭრა და იძულებულია სამშობლოდან გაიქცეს და სხვა ქვეყნებს შეაფაროს თავი. ავტორი არ ცდილობს მის გამართლებას, უბრალოდ ყვება ამბავს და ვხედავთ, როგორ ტრანსფორმირდება უცხო ქვეყანაში მოხვედრილი გმირი, როგორ იღვიძებს მასში მონანიების, თანაგანცდის კომპლექსური გრძნობები, როგორ ყალიბდება ახალი იდენტობა. თუმცა ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა ის ლიმიწალური მდგომარეობა, რასაც განიცდის გმირი იდენტობათა ზღვარზე.

პირველ რიგში, გამოვეყოფთ, თუ რა გამოცდილება მიიღო მან უცხოეთში იმაგოლოგიის თვალსაზრისით: როგორ ხედავენ უცხოელები ქართველებს:

### **იმაგოლოგია**

#### **სომეხი იურკა**

– „ეს ქართველები გამაგიჟებთ რა!

– რაზე?

– სულ უკმაყოფილოები ხართ (მაჭარაშვილი, 2020, გვ. 19)

– არა, რა, ეს ქართველები მაკვირვებთ, რა..

– რა გინდა, რით გაკვირვებთ კიდევ?!

– რა მინდა და, ბიჭო, ამ სააკაშვილს რამდენს უთმენთ, ტო!

– რამდენს ვუთმენთ?

– რა ვიცი, რვა წელია სულს გხდით, და.

– სომეხები რას იზამდით, ერთი, ქართველების ადგილას რომ იყოთ? მაგრად მაინტერესებს.

– რას ვიზამდით და 90-იანებში თავს რომ გავიდნენ პარლამენტში და ხალხს ჩაგვრა დაუწყეს, თერთმეტი დეპუტატი ერთ დღეს მივაბარეთ მიწას.

– თქვენ მანიაკები ყოფილხართ.

თქვენ კი მაზოხისტები, ამდენს რომ ითმენთ (იქვე: გვ. 20).

- ან ამ რუსეთთან ომი რაღა იყო? – ისე გააგრძელა იურკამ...
- ჩვენ დავიწყეთ? ხან აფხაზეთს ეცნენ, ხან სამაჩაბლოს, ბოლოს და ბოლოს, ამოვიდა, რა, ყელში!
- ბიჭო, რუსებს ტკბილი ენით თუ დააბამ, აბა, „კალაშნიკოვში“ ან „კატიუშაში“ აჯობებ? ჰიტლერს და ნაპოლეონს უტირეს ყოფა, ისტორია მაინც არ გაგივლია სკოლაში?
- ჩეჩნებმა ხომ დაუწყეს ომი?
- მერე რომელი ჩეჩნები თქვენ ხართ? ან რა მოიგეს იმ ჩეჩნებმაც, აბა, დაფიქრდი.
- დამანებე რა თავი...
- რუსთაველი მაინც არ გახსოვს, „გვრელსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი...“ (იქვე: გვ. 21).

აქვე გავიხსენოთ რუსის, ანდრეი პანინის შეფასება, რაც მთლიანად ეთანხმება რუსეთში საქართველოსთან დაკავშირებულ, დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ, დისკურსს „ქველმოქმედი რუსისა“ და „უმადური ქართველის“ შესახებ:

- რაზე მეშლება, იცი, ნერვები, ამ ქართველების ვერაფერი გავიგე ... ვეხმარები, ზედ ვარ გადაყოლილი, მაგრამ ვინ ხედავს – მაინც უკმაყოფილო სახეებით დადიან ...
- როგორც მათ უნდათ, ეგრე სად არის, ძმაო! ეგ თუ უნდოდათ, რაღას ეომებოდნენ რუსეთს და პუტინს, რაღას ექიშებოდნენ? მაღლობა თქვეან საერთოდ, რომ გავაკარე რუსულ ბაზარს, თორემ ხომ ამოუწყდებოდათ ოჯახები შიმშილით. მომინდომეს აქ რუსებთან ბრძოლა.
- რა გვექნა, ასე მოხდა, ჩვენ რა, გვინდა ომი? მაგრამ მოხდა, რა.
- ... თუ მშვიდობა და ვაჭრობა უნდოდა, მაშინ რატომ არ დაფიქრდა, სოხუმს რომ ბომბავდა.
- რას ნიშნავს ბომბავდა?! არც სოხუმში და არც სამაჩაბლოში ომი ჩვენ არ დაგვიწყია.
- აბა, მე დავიწყე?!
- აქ პოლიტიკური თამაშები მიდის, ძალიან ჩახლართული და ბინძური. ამიტომ ხალხი არ არის სისხლისღვრებში დამნაშავე.
- მოკლედ, რა. მესმის ახლა შენი... ქართველი ხარ და შენიანებს იცავ. 54
- საერთოდ დაუნახავი ხართ რა ეს კავკასიელები.
- აი, გინდაც ისტორია ავიღოთ. შენ გეცოდინება ალბათ შენი სამშობლოს წარსული. ... აგერ უკვე ორასი წელია რუსეთი არჩენს საქართველოს და, იმის მაგივრად, რომ მხარდაჭერა დააფასოთ, მიდიხართ და ჩვენს ყველაზე დიდ მტერს, ამერიკას უწყებთ კუდის ქიცინს. რა საქციელია, მითხარი, აბა, ერთი? კაცობაში, რა, მოსულა ასეთი რამ? ... სამსახურშიც, ჩემთან, იმდენ ქართველს ვეხმარები, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უკმაყოფილო მაღლობით დაგიკრავენ თავს და ეგ არი“ (იქვე: 54).

ამ შემთხვევაში რუსის და სომხის შეფასება ემთხვევა!

ავტორს კიდევ ერთი სომეხი პერსონაჟი შემოჰყავს – ხორენა, რომელიც სანდროს ბაბუის რეზოს<sup>1</sup> მეგობარია. იგი მარტოხელაა, განდევნილი ბერივით ცხოვრობს, თუმცა თავს ბევრი ახალგაზრდა დასტრიალებს: ზოგი ბაზარში ეგზავნება, ზოგი საჭესთან ზის ... ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ უყვარდა ბევრი კითხვა. მასთან ვერ მოიწყენდი. სულ საინტერესო ამბებს ყვებოდა. ხორენა დადებით პერსონაჟად არის გამოყვანილი, რომელიც ბოლომდე ერთგულია მეგობრობის.

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ნოდარ მაჭარაშვილი ნოდარ დუმბაძის შვილიშვილია და რეზო ნოდარ დუმბაძის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს.

ამის სრულიად საპირისპიროა რუსი ანდრეი პანოვი. იგი თავის თავში აერთიანებს ყველა იმ ნეგატიურ სტერეოტიპს, რომელიც რუსი ოკუპანტის შესახებ ჩამოყალიბდა: მას იმდენი ფული აქვს, რომ ბევრჯერ ბლომად დაუკარგავს საკუთარსავე სახლში და ფინანსურ ზარალს მხოლოდ თვეების შემდეგ მიმხვდარა, თუმცა შეუძლია კაპიკების გამო ერთი ამბავი ატეხოს და ადამიანი საცემად გაიმეტოს.

ძალიან ცუდად ეპყრობა ხელქვეითებს, მოახლეს, დამხმარეებს. ცუდად მოიხსენიებს ადამიანებს, თუმცა პირში ელაქუცება:

– „ისე მაინტერესებდა, თორემ მშვენივრად ვიცი, კაპიკს არ მოგცემდა (ხორენა). მაგის გადახდილი არ მახსოვს სუფრაზე. დიდუბეშიც კი ასე იძახდნენ, საკუთარ რესტორანშიც არ დაგპატიუებ-სო“ (იქვე: გვ. 34)

მაგრამ პროტაგონისტს ჰყოფნის გამბედაობა, რომ დაიცვას ბაბუამისის მეგობარი და გაწეული ამავი არ დაუკარგოს:

„მივხვდი, ერთი სული ჰქონდა, საუბარში ავყოლოდი და მისი სარკაზმული გამოსვლისთვის მხარი ამეხა. საშინლად გავბრაზდი. ვიგრძენი, როგორ წამოვწითლდი და ამემღვრა თვალები... ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ნაღდად არ მეგონა, ხორენას მისამართით ასეთ დამამცირებელ გამოსვლას თუ შევესწრებოდი“ (იქვე: გვ. 35).

– მაგათ მეგობრობა არ იცინა. – თავდაჯერებულად გამოაცხადა.

– ძია ხორენამ იცის.

მიხარია.

– ერევანში ყოფნა ყოველთვის თბილად და მონატრების გრძნობით გამახსენდება. ამ ხნის კაცი ბავშვივით დამდეგდა, რომ რამე არ მომკლებოდა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ბაბუაჩემის სულს გაეღვიძა. ეს ძია ხორენამაც იგრძნო, თავადაც გაახალგაზრდავდა და მათი მეგობრობის წლებში დაბრუნდა“ (იქვე: გვ. 36).

მაგრამ როცა ეს რუსი ხორენას პირადად დაელაპარაკება, სადღაც ქრება მისი ამპარტანეზა და ეს დესპოტი კაცი უცბად ალერსიანი ხდება:

– იცოცხლეთ, ძია ხორენ, აი გუშინ კაზანის ღვთისმშობლის ხატთან ვილოცე და შევევედრე, თქვენი სიმშვიდე არ დაირღვეს. აი, თქვენი ხმა რომ მესმის, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ღმერთი და სამართალი არის ამქვეყნად (იქვე: გვ. 38).

გაოცებული სანდრო მხოლოდ ამას ამბობს:

„აფერისტობისა და ფარისევლობის მეტი რა მენახა ამქვეყნად, მაგრამ პანოვის გაუგონარმა უტიფრობამ და თვალთმაქცობამ გამაშტერა“ (იქვე: გვ. 38).

საბოლოოდ რომანის გმირი ასეთი არჩევანის წინაშე დადგა:

„კაროჩე, უნდა გადაწყვიტო, ან მაგ პანოვის ცემა, პატრიოტიზმი და ქუჩაში დარჩენა, ან არა-და იჯექი თბილად მანდ და ტრაკი დააყენე“ (იქვე: გვ. 55).

სრულიად განსაკუთრებული კატეგორიაა მოსკოვში მცხოვრები ქართველები. ავტორმა ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟი – ტაქსის მძღოლი ვალოდია/ლადო დაგვიხატა. იგი ასე წარადგენს თავს: „წარმოშობით სვანი ვარ, ლეჩხუმში დაბადებული, ხულოში სკოლადამთავრებული და ქარელში გაზრდილი. დედულეთი ხაშურში მაქვს. სკოლა ქობულეთში დავამთავრე“ (იქვე: გვ. 47).

ვალოდიას კილო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ხეტიალს ადასტურებდა, ეს სვანურ-ლეჩხუმ-აჭარულ-ქართლური დიალექტი ეფექტს ახდენდა.

მან თავიდან გულთბილად მიიღო თანამემამულე სანდრო, მთელი მოსკოვი მოატარა, ფულიც დაუხურდავა, მაგრამ ბოლოს უკაცრიელ ტრასაზე გაიყვანა და 500 დოლარის წართმევა დაუპირა. თუმცა არ გამოუვიდა. ეს იყო სანდროს პირველი შეხვედრა ქართველთან მოსკოვში და პირველი იმედგაცრუება. „არც დავბნეულვარ, არც გავბრაზებულვარ, არც ლანძღვა-გინება ამიტუხია, უბრალოდ, ძალიან მეწყინა, იმედგაცრუებას ვგრძნობდი და აღარ ვიცოდი, როგორ

მოქცეულიყავი ... ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამი გამახსენდა მოსკოვზე: „ეგ ისეთი ქალაქია, სადაც შენთან წამში შენი მოძულე ხდება, სადაც ქართველები ისეთი სიძულვილით ჯიჯგნიან ერთმანეთს, როგორც არსად“ (იქვე: გვ. 48).

საერთოდ მოსკოვი ისე შემოდის ამ ქალაქში, როგორც დამოუკიდებელი პერსონაჟი. მას აქვს თავისი ხასიათი, ქცევის წესები. მწერალი კარგად ახერხებს გადმოსცეს თავისი იმაგოლოგიური ხედვა, თუ როგორ აღიქვამს ამ უცხო, საშიშ და სახიფათო, თუმცა ძალიან მაცდურ ქალაქს პროტაგონისტი:

„სისხლი თვალებზე ჩამომდიოდა და ხედვას მიშლიდა... გამვლელები გაოგნებულ და შემფოთებულ მზერას მაყოლებდნენ, თუმცა დახმარება აზრდაც არ მოსდიოდათ. ასეთია მოსკოვი, აქ თვითონ უნდა გადარჩე, შენით“ (იქვე: 125).

„მოკლედ, სიკეთის გაკეთება გვინდოდა – და სისულელე გამოგვსლოდა. ამ ქალაქში ყოველთვის ჭირს რაღაც კარგის გაკეთება მოსკოვი მზაკვრობას და სულელობას უფრო ადვილად იტანს“ (იქვე: 180).

„ეს მოსკოვია. აქ შიშის და ცრემლების არ სწამთ. აქ ძალა არ აქვს ადამიანის თვალიდან გადმოგორებულ ცრემლს. ყოველთვის გვიანია აქ უკან დახევა. აქ ყველაზე ვაჟკაცურად კვდებიან ყველაზე დაუნდობელი სიკვდილით“ (იქვე: 152).

„როკოსოვსკის მაკაროვს ვიღებ, თავის მოკვლაზე ვფიქრობ, ოღონდ თვითმკვლელობაც არ მინდა. არ ვარ ამის გამკეთებელი. მაგრამ მიჭირს იარაღისათვის ხელის გაშვება. მოსკოვში ეგ ადვილი არ არის. ეს ქალაქი ამაში არ გამოგადგება. აქ ყოველთვის ძნელია წარსულის დავიწყება და ახალი ცხოვრების დაწყება“ (იქვე: 153).

თუმცა სწორედ აქ, მოუნდა პროტაგონისტს იარაღის გადაგდება, გამოსწორება და ადამიანად ქცევა. ამ ქალაქში, სადაც ჩვენი თავისუფლების სისხლში ჩახშობის ბრძანება გაიცა ამდენჯერ, მაინცდამაინც აქ რატომ მოისურვა თავისი ბედის ბორბლის წაღმა დატრიალება? უცნაურია, რომ სხვაგან არსად მოსდომებია. ნუთუ არ არის ამაზე პასუხი? „ალბათ აქ უნდა გამცოცხლებოდა თავდაცვის ინსტიქტი, იმ დედაქალაქში, საიდანაც ხშირად მიუღია სასიკვდილო ბარათი ჩემს დედაქალაქს და თავისუფალი სულის დასამწყვდევად ბორკილები და გალია გამოუფხავნია მისთვის“ (იქვე: გვ. 153).

როგორც უკვე ვთქვით, მწერალი არ ერიდება დადებითი სიტყვების თქმას ქალაქის თუ ადამიანების მიმართ, ობიექტურად აღწერს სინამდვილეს, არც ბოროტების აღნიშვნა უჭირს და არც სიკეთის:

„ვემშვიდობებოდი ქალაქს, რომელიც შემძულდა და შემიყვარდა, რომელმაც გამათბო და გამყინა, მომკლა და გამაცოცხლა, გამაგდო და შემიფარა, ნეტავი კიდევ თუ არსებობს სადმე ისეთი ადგილი, რომელიც შეძლებდა ჩემთვის ყველა ეს გრძნობა ერთდროულად განეცდევინებინა. აქ სიკეთე, გულმართლობა და სივერაგე, ღირსებობა და მისი ნაკლებობა ისე არის გადახლართული, როგორც ტოტები უდაბურ ტყეში“ (იქვე: გვ. 202).

„სხვათა შორის, რუსების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ფაქიზად და რუდუნებით უვლიან თანამემამულე ხელოვანთა არა მხოლოდ სახლებს, არამედ ისეთ ნივთებსაც კი, რომლებიც, ერთი შეხედვით შეიძლება ნაკლებმნიშვნელოვნად ჩაითვალოს. რუსი მწერლები... მუდამ მოგზაურობდნენ თავიანთ უშველებელ სამშობლოში და ყველაფერს, სადაც კი ფეხი დაუდგამთ და ღამე გაუთევიათ, კულტურული მემკვიდრეობის ხელშეუხებელი ბეჭედი აზის სახელმწიფოსგან“ (იქვე: გვ. 43).

„ძველ არბატს ავუყევი. ჭრელ ფერებში შემოსილი და მრავალმხრივ განსხვავებული ადამიანები და შენობები რაღაც მშვენიერი აუცილებლობით უერთდებოდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს. ზოგი ჟონგლიორობდა, ზოგი ბურთს კენწლავდა, ზოგი ლექსს ამბობდა, მრავლად იყვნენ ბუკინისტები – და ამ ყველაფრის ერთობლიობა თეატრის სცენაზე ასჯერ რეპე-

ტიციაგავლილ წარმოდგენას წააგავდა. ხალხი თბილად მიცქეროდა, მიცინოდა, გამყიდველები ღიმილით მაცილებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიიდან ნივთების შეუძენლად გამოვდიოდი. ... ყველაზე მეტად ის მსიამოვნებდა, რომ არავინ მიყურებდა, როგორც მტერს და არავინ მომდევდა ჭიანჭველასავით გასასრესად. არავინ მასხვავებდა, არავინ მთვლიდა უცხოდ და გადამთიელად. რა დასანანია, რომ ასეთ ადამიანებს არ ხელეწიფებათ ორ ქვეყანას შორის არსებული ხიდის ამოვსება. ან არადა ხელეწიფებათ, მაგრამ ამას ძალიან, ძალიან დიდი დრო უნდა“ (იქვე: 64)

## სამშობლო

„რას უწოდებთ სამშობლოს? უცხოეთში როცა ხართ და თანამემამულეებს ხვდებით: გეუფლებათ თუ არა ნოსტალგია? რამ შეიძლება გაქციოთ უსამშობლო პიროვნებად: უმუშევრობამ, პოლიტიკურმა დევნამ, კარიერის უცხოეთში ძებნამ, ან იქნებ იმან, რომ თქვენ სულ უფრო და უფრო სხვაგვარად აზროვნებთ, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ამ მიწას თქვენსავით თავიანთ სამშობლოს უწოდებენ? თუ სამხედრო ფიცმა, რომელსაც ფეხქვეშ თელავენ? თქვენ გაქვთ სხვა სამშობლო? შეგიძლიათ საერთოდ ეს ცნება ამოშალოთ თქვენი აზროვნებიდან?“ (Frisch, 1972).

ესა კითხვები მაქვს ფრიშის ცნობილი კითხვარიდან. მიგრაციის გაძლიერებასთან ერთად ჩნდება კიდევ სხვა უამრავი შეკითხვა: რა არის სამშობლო – დაცულობის და უსაფრთხოების გრძნობა, რაც, მაგალითად, მშობლიურ სახლს უკავშირდება? იქნებ ეს უფრო პოლიტიკურად და გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ადგილია, საიდანაც მოდიხარ? სამშობლოს მნიშვნელობას ალბათ უფრო მაშინ შეიგრძნობ, როცა მას ნებაყოფლობით თუ იძულებით ტოვებ.

სამშობლოს ცნება კომპლექსურია და ხშირად ჩაინაცვლება ისეთი ნეიტრალური დასახელებებით, როგორებიცაა გარემო, რელიგია, გარემოცვა. დროთა განმავლობაში სამშობლოს მნიშვნელობა იცვლებოდა, უკანა პლანზე გადადიოდა, თუმცა კრიზისულ და გარდამტეხ მომენტებში კვლავ წინ გამოდიოდა. ხშირი იყო მისი გამოყენება პროპაგანდისტული მიზნებისათვისაც. დღევანდელი გლობალიზაციისა და ინდუსტრიულ-მასობრივი საზოგადოებების ისეთი გამოვლინებების ფონზე, როგორებიცაა ანონიმურობა, უნიფიცირება ან ცენტრალიზაცია, სამშობლოს ცნება კვლავ აქტუალური გახდა და სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ყურადღებას მიიქცია. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალი მსოფლიო ლიტერატურის ფონზე, სადაც სამშობლო ხშირად შემოქმედების თემა. ევა ჰაუსბახერი თვლის, რომ ბოლო წლებში საქმე გვაქვს სამშობლოს ცნების რეკონცეპტუალიზაციასთან. სამშობლო უკვე აღარ უკავშირდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ ადგილს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ დღეს ბევრს აქვს ორ სამყაროს შორის ცხოვრების გამოცდილება, რასაც ბჰაბჰა მესამე სივრცეს უწოდებს (Hausbacher, 2009, გვ. 10).

ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაშიც სამშობლო ხშირად გამბდარა შემოქმედების თემა. შორიდან დანახვის შესაძლებლობა მწერალში აღვიძებს ერთი მხრივ, ნოსტალგიურ შეგრძნებებს, მეორე მხრივ, უფრო ფხელ და კრიტიკულ აღქმას, შედარებით კონტექსტს:

*„თვითმფრინავი აიწია და გაფრინდა სამშობლოსკენ, სადაც მეგობრის მარმარილო, ციხე და გულწრფელი ბავშვობა მელოდებოდა“* (მაჭარაშვილი, 2020, გვ. 204).

„დეღფინები სადაც არიან, იქ სიკეთეა ... რამ გამაგიჟა? რატომ ვფიქრობდი ამ უზღვო ქალაქში დეღფინებზე – ბოლოს და ბოლოს თვითონაც არ ვიცოდი. ალბათ, სიკეთე დამაკლდა მოსკოვში და იმიტომ, დეღფინი ხომ ბათუმს და გულრიფს მაგონებს, შავ ზღვას და ბავშვობას, შავი ზღვა – ბავშვობას და სიყვარულს. ყველაფერი ეს კი ძალიან აკლდა ჩემს ჩემს გამოფიტულ და ლამის დაკარგულ სულს. სამშობლოს გარეშე სული მშვიდია და გადაშენება ემუქრება (იქვე, გვ. 204).

## სტერეოტიპები

წიგნში ავტორი აფიქსირებს სტერეოტიპებს – ძველს და ახალს. ეს, პირველ რიგში, ეხება კლიშეს რუსი ქალების შესახებ. ახალჩასული სანდრო მოსკოვს ათვალიერებს. ტაქსის მძღოლი ამჩნევს მის განსაკუთრებულ ყურადღებას ე.წ. „სუსტი სქესის“ მიმართ:

„– ეეე, ჯერ სადა ხარ, ქალებს რომ ნახავ, მერე ნახე შენ პულისს აჩქარება.

– ჰო, არა?

– ეეე! პირველები არიან ქალებში.

– ჰო, არა?

– მერე, ფეხები? კისრიდან ეწყებათ, მაშ!

– ჰმ.

– მერე როგორი დებილები არიან, ოღონდ არ სვა და არ გალოთდე – და ჯოჯოხეთში წამოგყვებიან.

– ვაა.

– რა სულელივით დაგიფჩენია ეგ პირი“ (მაჭარაშვილი, 2020, გვ. 41).

მაგრამ როცა საქმე ერთ კონკრეტულ რუს ქალს ეხება, რომელიც მისი მასპინძლის ქალიშვილია, მას ერთვება ქართული რაინდული კოდექსი, რომ არ შეიძლება შინაურთან ურთიერთობის დამყარება, მიუხედავად იმისა, იქ როგორ უყურებენ ამას და მათთვის თუნდაც დასაშვები რომ იყოს „ნატაშა მომწონდა, ოღონდ მაშინ, როცა არც საშვას ვიცნობდი წესიერად და არც ვოვას. თუმცა რახან მათ ოჯახში ვიმყოფებოდი, ვგრძნობდი, რომ აკრძალული ხილი იყო. ერთი წუთითაც არ მიმიცია თავისთვის ფლირტისა და პრანჭვის უფლება“ (იქვე, გვ.195).

„მეძინებაო და მხარზე თავი ჩამომადო. მთვრალი იყო. სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა... ერთდროულად მომინდა მისი ჩახუტებაც და მოშორებაც, გაქცევაც და დარჩენაც“ (იქვე, გვ. 217).

„იმაზედაც დიდხანს ვიმტვრიე თავი, ნატაშასთან გაღვივებული რომანის შემთხვევაში მორალური კოდექსი და სინდის-ნამუსი საშვასთან თვალის თამამად გასწორების საშუალებას თუ მომცემდა“ (იქვე, გვ. 109).

აქ საინტერესოა, თუ როგორი სტერეოტიპი არსებობს რუსეთში ქართველის შესახებ, რის გამოც ისე განსჯიან ხოლმე, სიმართლეს აღარც კითხულობენ: „...თუმცა რა უნდა მითხრა, თქვენ ხომ რუსი ქალები მარტო სახმარად გინდათ, რა ეგრე არ არის, ამით არ იწონებთ ოცდაოთხი საათი თავს?“ (იქვე, გვ.194).

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უკავია სანდროს ურთიერთობას ბაბუასხელა კაცთან, დიმიტრი პავლოვიჩთან, მამამისის მეგობრის ვოვას მამასთან. დიმიტრი პავლოვიჩი იყო პენსიაზე გასული პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი, სტალინგრადის დამცველი, 62-ე არმიის მეტყვიამფრქვევე.

ავტორი განსაკუთრებული სითბოთი ახასიათებს ამ პერსონაჟს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული გაბედულებაა დღევანდელი კონიუნქტურის ფონზე. მისი აზრით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები განსაკუთრებული ხალხია.

„მათგან ყველაფერი უნდა აიტანო: გავემებული სტალინისტობა, რეპრესიების აუღიარებლობა, კომუნისტურ წარსულზე წუხილი, მათ ეს დაიმსახურეს. რატომ არის, რომ სოსო ჯულაშვილის მეხოტბე ვეტერანებს საზოგადოება არ კიცხავს? რატომ არავინ არ უთვლის დანაშაულად სისხლისმსმელი დიქტატორის ქებათა ქებას? რატომ და ერთი მარტივი მიზეზის გამო: მათ გადაარჩინეს მსოფლიო და ამისათვის უკიდურეს საფრთხეში იგდებდნენ თავს. ამიტომაც უხრის ქედს შთამომავლობა და კაციჭამია ჯულაშვილის გაღმერთებაზეც თვალს ხუჭავს“ (იქვე, გვ.133).



„პირველად ვიჯექი ადამიანთან, ვისაც ისტორიის მანძილზე ყველა დროის ყველაზე სისხლიანი ბრძოლა ჰქონდა გამოვლილი, დღეს ეს ადამიანები ამორეცხილები არიან მსოფლიო მეხსიერებიდან. აქ თუ ახსოვთ, მოსკოვში. რა უცნაურია და როგორი საწყენი. მხოლოდ ფრანგებმა გამოიმეტეს და პარიზში მეტროს სადგურს სტალინგრადი დაარქვეს. ფრანგების გადარჩენა და დე გოლის დაბრუნება პირდაპირაა დაკავშირებული ამ ბრძოლასთან, სხვაგან კი 43 წელს მაინცდამაინც არ ახსენებენ. რამხელა სირეგვენი და უსამართლობაა, რომ მსოფლიოს გადარჩენისთვის თავგამოდებული ხალხი სტალინის სისხლიან რეჟიმთანაა ასოცირებული“ (იქვე, გვ.136).

ავტორს განსაკუთრებულად წყდება გული, რომ საქართველომ მთლად გაწირა ჩვენი ვეტერანები და შიმშილისა და მოხუცებულთა სახლებისთვის გაიმეტა. „...დღეს იმდენად **დამფრთხალი და დაუძლურებელია ხალხი, რომ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ხსენება სტალინისტობასა და კომუნისტობაში ბრალდების შიშითაც არ ხდება.** „სამარცხვინოა ეს ყველაფერი და, ვაი რომ, ამავე დროს სასაცილოც“ (იქვე, გვ.136).

აქვე არის მსჯელობა სტალინის ფენომენზე. მართალია მოხუცი და ახალგაზრდა თავიდან ვერ უგებენ ერთმანეთს. სანდროსთვის სტალინი არის გარეწარი და ბოდმა, რომელმაც ამდენი ადამიანი შეიწირა. დიმიტრი პავლოვიჩისთვის კი ბუნებრივია, რომ ამხელა ქვეყნის შენებას წინ რაღაც რეპრესიები უძლოდა. საბოლოოდ კი ასეთ ფორმულირებაზე შეთანხმდებიან: „არ ყოფილა დედამიწაზე სხვა ადამიანი, რომელსაც ერთდროულად გადაერჩინა და დაეღუპა ნახევარი მსოფლიო“ (იქვე, გვ. 196).

როგორც აღვნიშნეთ, ავტორი არ ცდილობს ცალსახად შეხედოს პრობლემას და ყველაფერში სხვა დაადანაშაულოს. აქ შემოდის თაობათა პრობლემაც: ვოვა და ნოდარა (სანდროს მამა) „ერთი ქარხნის“, ერთი დარდის და თითქოს ერთი ქვეყნის შვილები იყვნენ. ამიტომ ჰქონდათ ასეთი ურთიერთობა, არც შეეძლოთ სხვანაირად. სანდრო და საშვა – მათი შვილები შორიშორს გაიზარდნენ, გაუცხოება მოასწრეს, სხვადასხვა ქალაქის, სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. ამიტომ უჭირთ ერთმანეთის მიღება. ვოვას აზრით, ეს მათი, უფროსების ბრალია „რომ სიყვარული ვერ გასწავლეთ, პოლიტიკური და ადამიანური ურთიერთობების განსხვავებას ვერ გაგაჩვიეთ, ჯიბრი ვერ ჩაკვიკალით მაგ გაყინულ გულელებში, პირდაპირი თუ ფარული მტრობა ვერ მოვსპეთ თქვენს ტვინებში“ (იქვე, გვ.78).

პროტაგონისტი ხვდება, რომ ამ ყველაფერში დამნაშავეა იდეოლოგია, პროპაგანდა, ხარბი პოლიტიკოსები... „პოლიტიკა კი ყოველთვის ანგრევს, ანადგურებს, ძირს უთხრის ადამიანურ და თბილ ურთიერთობებს, ყოველთვის გვერდზე სწევს ხალხთა შორის მრავალწლიან კულტურულ თანხვედრას, წარსულს და ყველაფერს თელავს (იქვე: გვ. 64).

სანდროს აზრით: „დღეს რუსებსაც და ქართველებსაც ყველანაირი კულტურული ჯაჭვი ჩაწყვეტილი გვექონდა, ადამიანური ურთიერთობა – გვერდზე გაწეული ერთმანეთთან მისასვლელი ბილიკი – მხოლოდ ტყვიით გაკვალული, დანით და კასტეტით. როგორი საწყენი და დასანანი, რომ დიდი ქვეყნები თავიანთ მედიდურებასა და ჰონორს ვერ ერევან“ (იქვე: გვ. 64).

და ბოლოს, ერთ დეტალზე მინდა შევჩერდე, რითაც ხიდი გაიღო მწერალ ნოდარ მაჭარაშვილსა და ბაბუამისს, მწერალ ნოდარ დუმბაძეს შორის: ყველას გვახსოვს სცენა „თეთრი ბაირაღებიდან“, როდესაც ბინის გასაქურდად შესული ლიმონა მაგიდაზე შეამჩნევს ჩარჩოში ჩასმულ ფოტოსურათს, რომელზეც ახალგაზრდა გოგონები არიან გამოსახული. ლიმონა მათ შორის თავის დას ამოიცნობს. იგი ყველაფერს ტოვებს და მიდის ამ ბინიდან. ზუსტად ასე მოსდის ნოდარ მაჭარაშვილის გმირსაც. იგი კირპიჩას დასაყაჩაღებლად მიყვება საშვას და იქ წიგნის თაროზე ბაბუამისის წიგნს დაინახავს. ისიც ასევე მიტრიალდება და ტოვებს იქაურობას. უფრო მეტიც, ეს მოვლენა ძალიან დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე და გადაწყვეტს, რომ შეიცვალოს.

„ისე გამოვიქეცი იქიდან, თითქოს ჭიანჭველაზე არ ვიყავი ფეხის დამდგმელი. ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ ფარისევლური კეთილშობილების გამოვლენა იყო ჩემი საქციელი და მეტი არაფერი? და რა იქნებოდა, ბაბუაჩემის წიგნს რომ არ გადავწყდომოდი თაროზე? არც არაფერი, ალბათ. ალბათ, დაუნდობლობის ჩვეულ რიტმში ჩაივლიდა ყველაფერი. და განა პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზღვრებს გარეთ შევძლებდი სულიერ ევოლუციასა თუ რევოლუციის მოხდენას საკუთარ სულში? მაგალითად, სადმე ნორვეგიასა თუ საფრანგეთში შემეძლებოდა გაკეთილშობილების ჯოხის დაკვრის ღირსეულად მიღება? დამხვდებოდა რეზოს წიგნი სადმე გერმანულენოვან ან ფრანგულენოვან სამყაროში?“ (იქვე, გვ. 121).

მისი აზრით, ამაში ღმერთის ხელი ურევია. ავტორს კვლავ არ ეშინია, რომ მეინსტრიმს აცდებდა, ტრადიციულ, ზოგადადამიანურ, ქრისტიანულ ღირებულებებს პატივს სცეს:

„ალბათ, არა. მხოლოდ მოსკოვში უნდა მომხდარიყო ჩემი ეს გარდაქმნა – ეს საღათას ძილით მძინარე საცოდავი სულის გამოღვიძება. განათლებისაგან ურწმუნოებაში ჩავარდნილი ადამიანების მიკვირს... როდესაც ღმერთს გვერდზე სწევინ და ყველაფერს შემთხვევითობას და ალბათობას მიაწერენ. როგორ მინდა იმის დაჯერება, რომ ღმერთმა ეს წიგნი ჩემი თვალის ასახვად განგებ შემოდო. როგორ მინდა მწამდეს მალა, უსასრულობაში, ღრუბლებზე მოკალათებული თეთრწვერიანი მამა-ღმერთი, ზუსტად ისეთი, როგორც ღრმა ბავშურ წარმოდგენებშია... დღეს დასცინიან ასეთ ღმერთს, დღეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ ასეთი სასწაულის არსებობა... მე კი ისე გულწრფელად ვიჯერებ მის არსებობას, თითქოს განგებას ჩამოვეყვანე მოსკოვში, თითქოს მან შემაბიჯებინა კირპიჩას ბინაში. ... ვერც იმას ვიფიქრებ, რომ სხვაგან შემეწეოდა ღმერთი, რომ სხვაგან წინასწარ გათხრილ საფლავეში საკუთარი თავის დასამარხად მამზადებდა. ... სტამბოლი იქნებოდა თუ პარიზი ... იქაც მოვახერხებდი ჩახლართული აბლაბუდიდან თავის დაღწევას. უბრალოდ, შეიძლება წიგნის ნაცვლად სხვა რამეს გაეხედვინებინა ჩემთვის გადარჩენა, სხვა რამეს ამოვეტაცებინე უფსკრულის სიღრმიდან. კი ასეა ... მაგრამ ეს მოსკოვში მოხდა, მოსკოვში დამემართა ... (იქვე, გვ. 122).

ნუთუ ღმერთის გარეშე მოხდებოდა ეს ყველაფერი? ღმერთის გარეშე გადავრჩებოდი და ასე, სიკეთით, დამთავრდებოდა ეს ბოროტი საქმე? – კითხულობს სანდრო და დარწმუნებულია, რომ ასეთი რაღაცეები შემთხვევით არ ხდება. ადამიანის სიყვარულია ყველაფრის სათავე. ყველა ნათელი და ჭეშმარიტი გზის ძიება და პოვნა მხოლოდ მისით შეიძლება. ადამიანობით და სინანულით იწყება დაბრმავებული თვალების ახელა და სამყაროსკენ გახედვა. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ის ძახილით, ქედმაღლობითა და „მაგარი ბიჭობით“ უსათუოდ ჩიხში მოხვდები... გამოღწევა ძალიან ჭირს, მაგრამ მაინცაა შესაძლებელი.

„მერე კი, ჩამთრევი და სასიკვდილო ჭაობიდან ამოსულს, წარსულში წინდაუხედავად აკიდებული ტალახი და შმორი გაწუხებს დიდხანს. თითქოს გამოუყვან ლაქასავით მოგცხებია ტანსაცმელზე, რომელსაც ვერც იხდი და ვერც რეცხავ. უჭკუობით თუ სხვა მიზეზით ჩადენილი ყველა სიბოროტე ყოველ კუთხეში დაგებულ მახესავით გიცდის. მაგრამ მიდიხარ... რადგან გრძნობ, რომ სიკეთის გზაზე შემდგარს, თანდათან არც ხაფანგებად დადგმულ განსაცდელთა შიში აღარ გაქვს და არც უკან მოხედვის“ (იქვე: გვ. 130).

ისიც აღსანიშნავია, რომ ავტორზე, ადრეულ პოსტსაბჭოთა პერიოდში, გავლენა მოახდინა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ე.წ. ჰარმონიულმა (საბჭოური) პერიოდის მოდელებმა (კონტაქტები ლიტერატურულ წრეებს შორის, რუსი და ქართველი ავტორების რეალური და ფასადური მეგობრობის მაგალითები). დღეს ხდება ამ ურთიერთობათა სრული დეკონს-

ტრუქცია, რაც ეხმიანება დეცენტრალიზაციის დისკურსს. ამას ხელს უწყობს ისეთი ქვედისციპლინები, როგორებიცაა დიასპორული კვლევები, პოსტკოლონიალური კვლევები, მსოფლიო ლიტერატურა და მთარგმნელობითი კვლევები. რაც ჩვენთვის, როგორც ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის მკვლევართათვის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი დიასპორული ნარატივები ასახავს გამოცდილებას, რომელიც ადვილად არ არის ხელმისაწვდომი ადგილზე ყოფნობისას, ხსნის იმას, რასაც სალმან რუმდი უწოდებდა „ახალ მიდგომებს რეალობაში შესასვლელად“.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ავერინცევი ს.ს. (2006). გ. კ. ჩესტერტონი, ანუ მოულოდნელი კეთილგონიერება, ჟურნ. არჩევანი № 9-10. (რუსულიდან თარგმნა შორენა შამანაძემ). <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH4b38a90787316f9b1c71c8;jsessionid=3AB4713EEC47982428DA717C7D92D0BB>
- ლობჯანიძე, გიორგი. (2020). წერა ბედისწერის საპირწონედ, ნოდარ მაჭარაშვილის „მოსკოვი-თბილისის“ გამო, <https://publika.ge/article/wera-bedisweris-sapirwoned/>
- მაჭარაშვილი, ნოდარ. (2020). მოსკოვი-თბილისი, თბილისი: ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო.
- წიფურია, ბელა. (2016). ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Chacrabarty, Dipesh. (2000). *Provincialising Europe*. Princtone: Princtone University Press.
- Frisch, Max. (1972). *Tagebuch 1966–1971*. Frankfurt am Main: Suhrkamp
- Hausbacher, E. (2009). *Poetik der Migration. Transnationale Schreibweisen in der zeitgenössischen russischen Literatur*. (Stauffenburg Discussion; Band 25). Stauffenburg.

#### References:

- Averintsevi S.S. (2006). G. K'. Chest'ert'oni, anu mouldneli k'etilgoniereba. [G. K. Chesterton, or Unexpected Common Sense]. Zhurn. Archevani, № 9-10. Rusulidan targmna Shorena Shamanadzem). <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH4b38a90787316f9b1c71c8;jsessionid=3AB4713EEC47982428DA717C7D92D0BB>
- Chacrabarty, Dipesh. (2000). *Provincialising Europe*. Princtone: Princtone University Press.
- Frisch, Max. (1972). *Tagebuch 1966–1971*. Frankfurt am Main: Suhrkamp
- Hausbacher, E. (2009). *Poetik der Migration. Transnationale Schreibweisen in der zeitgenössischen russischen Literatur*. (Stauffenburg Discussion; Band 25). Stauffenburg.
- Lobzhanidze, Giorgi. (2020). Ts'era bedists'eris sap'irts'oned, Nodar Mach'arashvili's 'mosk'ovi-tbilisis' gamo. [Writing as a counterbalance to fate, because of Nodar Macharashvili's 'Moscow-Tbilisi']. <https://publika.ge/article/wera-bedisweris-sapirwoned/>
- Mach'arashvili, Nodar. (2020). Mosk'ovi-Tbilisi. [Moscow-Tbilisi]. Tbilisi: Nodar Dumbadzis gamomtsemloba da lit'erat'uruli saagent'o.
- Ts'ipuria, Bela. (2016). Kartuli t'ekst'i sabch'ota/p'ost'sabch'ota/p'ost'modernul k'ont'ekst'shi. [Georgian Text in the Soviet/Post-Soviet/Postmodern Context]. Tbilisi: ilias sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.